

საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი და  
საწარმო-ტექნოლოგიური კომლექსური ინსტიტუტი  
**შპს “საქზამეცნიერება“**

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-45) ოზურგეთ-შემოქმედი-ბჟუჟესი-  
გომისმთის საავტომობილო გზის კმ 1(0+145)-ზე. მდ. ნაბჟურაზე  
არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები  
ტომი I

საპროექტო დოკუმენტაცია  
განმარტებითი ბარათი,  
მუშა ნახაზები



თბილისი  
2019

საქართველოს ბზათა სამეცნიერო-კვლევითი და  
საწარმო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტი  
შპს “საქზამეცნიერება“

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-45) ოზურგეთ-შემოქმედი-ბჟუჟკესი-  
გომისმთის საავტომობილო გზის კმ 1(0+145)-ზე. მდ. ნაბჟუარაზე  
არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები

ტომი I

საპროექტო დოკუმენტაცია  
განმარტებითი ბარათი,  
მუშა ნახაზები

შ.პ.ს „საქზამეცნიერება“-ს  
გენერალური დირექტორი

თ. შილაკაძე

მთავარი ინჟინერი

გ. ჩიგოგიძე

პროექტის მთავარი ინჟინერი

მ. ბახტაძე

ინჟინერი

თ. საგინაშვილი

თბილისი

2019

## სარჩევი

1. ნაწილი I - ტექსტური ნაწილი
2. ნაწილი II – გრაფიკული ნაწილი

ნაწილი I - ტექსტური ნაწილი

## ს ა რ ჩ ე კ ი

1	ტექნიკური დავალება	4
2.	განმარტებითი ბარათი	5
3.	სამუშაოთა მოცულობების უწყისი	6

## 1. ტექნიკური დავალება



## 2. ბანმარტეპითი ბარათი

### ხიდის არსებული მდგომარეობა

შ-45 ოზურგეთი-შემოქმედი-ბუეუკესი-გომისმთა საავტომობილო გზის კმ1(0+145)-ზე, მდ. ნაბუარაზე არსებული სახიდე გადასასვლელის შემოწმება-დათვალიერება, მისი ტექნიკური მდგომარეობის შეფასების მიზნით, ჩატარდა 2019 წლის ივნისის თვეში. არსებული ხიდი აშენებულია გასულ საუკუნეში 1956 წელს, ხოლო შემდგომ ჩატარებულია რეკონსტრუქცია გაბარიტის გაზრდის მიზნით. სამწუხაროდ ვერ იქნა მოძიებული ხიდის მშენებლობის საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაცია, რის გამოც ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენს მიერ ხიდის ზედაპირულ დათვალიერებას და შ.პ.ს. “საქზამეცნიერებისა” და “კონსტრუქციების ცენტრის ხიდსაცდელი საგამოცდო ლაბორატორიის” მიერ ზემოხსენებულ ხიდზე ჩატარებული გამოკვლევა-გამოცდის შედეგად წარმოდგენილ ტექნიკურ ანგარიშს.

ხიდზე ჩატარებული აზომვითი სამუშაოების ჩატარების შედეგად დადგინდა მისი საერთო მონაცემები:

1. ხიდის სქემა – 1X13.15მ; 1X12.0მ
2. ხიდის სიგრძე – L=28.8 მ.
3. ხიდის გაბარიტი –  $\Gamma=9.2+2X1.0$  მ.
4. სამალო ნაგებობა:
  - რკინაბეტონის კოჭურ-წიბოვანი დიაფრაგმიანი მაღის ნაშენის კოჭი, L=13.15მ, კვეთში 1 ცალი. საანგარიშო მაღი – 12.76მ
  - რკინაბეტონის “T”-სებრი კვეთის უდიაფრაგმო მაღის ნაშენის კოჭები, L=12.0მ, კვეთში 3 ცალი. საანგარიშო მაღი – 10.6მ
5. სახიდე გადასასვლელის სავალი ნაწილის ფენილი - ასფალტბეტონი.
6. ბურჯები: სანაპირო ბურჯები ერთი და იგივე ტიპისაა, რომლებიც აგებულია მასიური მონოლითური ბეტონისაგან, უკუფროთებით და რკინაბეტონის წამწისქვედებით,
7. საანგარიშო დატვირთვები – HK-80, A-11

### არსებული მდგომარეობა.

საერთო შეფასებით სახიდე გადასასვლელის სამალო ნაგებობის არსებული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მიუხედავად ამისა არსებობს გარკვეული ტიპის ხარვეზები. კერძოდ კოჭურ-წიბოვან დიაფრაგმიან მაღის ნაშენის (L=13.15მ) წიბოებზე, კოჭის ფილაზე და დიაფრაგმებზე რიგ ადგილებში ბეტონის დამცავი ფენა ჩამოყრილია და მოხანს გაშიშვლებული ჟანგმოკიდებული გლუვი არმატურა. ხიდის ძველი კოჭის კონსოლურ ნაწილში და ახალი კოჭების



განაპირა კოჭის კიდეში სავალი ფილები დახავსებულია და დაბალახებული. ხიდის ახალი კოჭები და კოჭების გამონოლითების ბეტონი კარგ მდგომარეობაშია.

ხიდის სავალი ნაწილის საფარი ნორმალურ მდგომარეობაშია, ალაგ-ალაგ თვალამრიდებთან და ტროტუარზე შეინიშნება მიწა და ბალახის საფარი, რომელიც საჭიროებს გაწმენდას. ხიდს გააჩნია ლითონის თვალამრიდები და მოაჯირები, რომლებიც კარგ მდგომარეობაშია.

სახიდე გადასასვლელის ბურჯები ერთი და იგივე ტიპისაა, რომლების აგებულია მასიური მონოლითური ბეტონისაგან. ბურჯების ბეტონის ზედაპირის ზოგიერთი ადგილები გამოფიტულია, შეინიშნება ფუჭვილებიც. ძირითადად ბურჯები ნორმალურ მდგომარეობაშია.



ხიდის სავალი ნაწილი



ხიდის საგალი ნაწილი



ხელი ზედა ბიეფში ოზურგეთის მხრიდან



ხელი ზედა ბიეფში ოზურგეთის მხრიდან



კოჭურ-წიბოვან დიაფრაგმიან მალის ნაშენი ხელი ქვემოდან



ძველი და ახალი კოჭების გადაბმის ადგილი



ახალი კოჭების გადაბმა ერთმანეთთან და საკარადე კედელთან



მდინარის ხელი ქვედა ბიუფში



ხიდის სავალი ნაწილი



ხელი ქვედა ბიუჯში გომისმთიდან



ხელი გომისმთიდან



ქვედა ბიეფში არსებული კედელი ხიდის გაგრძელებაზე მოსახლის ეზოში



დასავსებული და აბალახებული ტროტუარის ფილის წიბო ქვედა ბიეფში



რეპერის მონიშვნა



რეპერის მონიშვნა



## საპროექტო გადაწყვეტილებები

მშენებელი კონტრაქტორის მიერ, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, უნდა მოხდეს ხიდზე არსებული კომუნიკაციების გადატანასთან დაკავშირებული საკითხების შეთანხმება მათ უშუალო მფლობელებთან;

არსებული ხიდის რეაბილიტაციისათვის საჭიროა განხორციელდეს შემდეგი ძირითადი სამუშაოები:

- ხიდის სავალი ნაწილის გაწმენდა მიწისაგან ხელით, მაღის ნაშენზე არსებული სავალი ნაწილის საფარის დაშლა კოჭების კონსტრუქციამდე, ხიდზე და ბურჯებზე არსებული ზღუდარების და ტროტუარის კონსტრუქციის დაშლა პნეუმოჩაქეხებით, დატვირთვა და გატანა ნაგავსაყრელზე;
- ხიდზე არსებული მოაჯირის დემონტაჟი და ახალი მოაჯირის მოწყობა;
- მშენებლობის პერიოდში მდინარის კალაპოტში დროებითი გრუნტის დამბების მოწყობა;
- ბურჯების საკარადე კედლების ნაწილობრივი მონგრევა პნეუმატური ჩაქეხებით და ახალი საკარადე კედლების მოწყობა;
- ბურჯების ფრთებზე მონოლითური რ/ბ-ის თვალამრიდებისა და ტროტუარის ფილის მოწყობა;
- ბურჯებთან გადასასვლელი ფილების მოწყობა;
- მაღის ნაშენზე რ/ბ-ის სავალი ფილის მოწყობა;
- დრენაჟის მოწყობა ხიდზე მიმდები თუჯის ძაბრებისა და წყალგამშვები პლასტმასის მილების საშუალებით. წყალგამშვები პლასტმასის მილები მაგრდება მაღის ნაშენზე;
- ხიდის სადგფორმაციო ნაკერების მოწყობა;
- ხიდზე ჰიდროიზოლაციისა და ბეტონის არმირებული დამცავი ფენის მოწყობა;
- ხიდის სავალ ნაწილზე და ტროტუარებზე ასევე მისასვლელებზე ხიდიდან 15-15 მეტრის დაშორებით ა/ბ-ის საფარის მოწყობა;
- ხიდის კონუსების ტერიტორიის გაწმენდა მცენარეული საფარისაგან.
- განაპირა ბურჯთან (ბურჯი №2) არსებულ ბეტონის სარეგულაციო კედელზე და განაპირა ბურჯების ტანზე ეწყობა რკინაბეტონის პერანგი;
- განაპირა ბურჯების ფრთების გარე ზედაპირები, ასევე №2 ბურჯის ქვედა ბიეფში უკუფრთის გაგრძელებაზე არსებული კედლის ზედაპირი იწმინდება და ილესება წებოცემების ხსნარით;
- მაღის ნაშენის კოჭების დაზიანებული ზედაპირების დამუშავება მჭიდი საცხისით (მასალის ტიპი - CR246 Sto) შემდგომი შელესვით
- კოჭების შეკეთებული-შელესილი ზედაპირების შეღებვა საფასადე საღებავით;
- ხიდის ზედა და ქვედა ბიეფში მონოლითური რკინაბეტონის საყრდენი კედლების მოწყობა.;
- ხიდთან მისასვლელებზე ლითონის ზღუდარების მოწყობა.